



შ.პ.ს. ჯეოინჟინირინგი

საინჟინრო კვლევა-ძიება, დაპროექტება,
მშენებლობა



**ზუბდიდი-მესტია-ლასდილის
საავტომობილო გზის 116 კმ-ზე
მეფხრული მონაკვეთის ასაქცევი
გვირაბის სამშენებლო უბნის
საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა**

ტექნიკური ანგარიში

ნაწილი 3

თბილისი
2018



შ.პ.ს. ჯეოინჟინირინგი

საინჟინრო კვლევა-ძიება, დაპროექტება,
მშენებლობა

ზუბდიდი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის 116 კმ-ზე მეფურული მონაკვეთის ასაქცევი გვირაბის სამშენებლო უბნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა


ტექნიკური ანგარიში

ნაწილი 3

გენერალური დირექტორი

ლ. მიქაბერიძე

საინჟინრო კვლევების განყოფილების
უფროსი



ლ. გორგიძე

საინჟინრო-გეოლოგიური სექტორის
ხელმძღვანელი

დ. სირბილაძე

გეოტექნიკური ლაბორატორიის ხელმძღვანელი

რ. კავთაშვილი

ს ა რ ჩ მ ვ ი

ტექსტური ნაწილი

1. შესავალი 3

2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლილობა 5

3. ბუნებრივი გარემოს დახასიათება 6

3.1 კლიმატი 6

3.2 გეომორფოლოგიური და ჰიდროგრაფიული პირობები 7

3.3 გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა 9

3.4 ჰიდროგეოლოგიური პირობები 11

4. საინჟინრო-გეოლოგიური პირობებები 11

4.1 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების დახასიათება 11

4.2 ბრუნვის წყლების ქიმიური შედგენილობა და აბრეხიულობა 23

4.3 საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები 24

4.3.1 მიწისზედა მშენებლობის საინჟინრო-გეოდინამიკური ვითარება 24

4.3.2 გვირაბის გაყვანის დროს მოსალოდნელი მოვლენები 26

5. დასკვნები და რეკომენდაციები 28

ბრაფიკული ნაწილი

რიგითი №	ნახაზის დასახელება	ნახაზის ნომერი	ფურცლების რაოდენობა
1	საინჟინრო-გეოლოგიური რუკა, მასშტაბი 1:2000	GC-1838-1	1
2	გვირაბის გრძივი საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი, მასშტაბი 1:1000	GC-1838-2	3
3	გვირაბის განივი საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები, მასშტაბი 1:1000	GC-1838-3	17

დანართები

დანართის №	დანართის დასახელება	ფურცლების რაოდენობა
1	ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები	16
2	ვერტიკალური ელექტროზონდირების შედეგები	2
3	ლაბორატორიული კვლევის შედეგები	
3.1	არაკლდოვანი გრუნტები	
3.1.1	გრუნტების შედგენილობის და ფიზიკურ-მექანიკური კვლევის კამური უწყისი	2
3.2	კლდოვანი ქანები	
3.2.1	კლდოვანი ქანების გამოცდა ერთღერძა კუმშვაზე	1
3.2.2	კლდოვანი ქანების წერტილოვანი გამოცდა სფერული იდენტორებით	9
3.2.3	კლდოვანი ქანების ძვრაზე გამოცდა ნაპრალების ზედაპირის გასწვრივ (მშრალ და დასველებულ ზედაპირებზე)	28
3.2.4	ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების მნიშვნელობების სტატისტიკური დამუშავების შედეგები	5
3.2.5	კლდოვანი ქანების დარბილების კოეფიციენტის განსაზღვრა	3
3.2.6	ანიზოტროპულობის კოეფიციენტის განსაზღვრა	4
3.3	გრუნტის წყლის და ზედაპირული წყლების ქიმიური ანალიზი	4
4	კლდოვანი მასივის ხარისხის (RMR) შეფასება ჭაბურღილების კერნის მიხედვით	3
5	ნაჩენებში კლდოვანი ქანების ნაპრალიანობის შესწავლა და დეტალური გეომექანიკური აღწერა	51
6	ფოტოდოკუმენტაცია	11
7	ტექნიკური დავალება	2

1. შესავალი

წინამდებარე ტექნიკურ ანგარიშში წარმოდგენილია ზუგდიდი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის 116 კმ-ზე მეწყრული მონაკვეთის ასაქცევი გვირაბის სამშენებლო უბნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები. კვლევები ჩატარებულია და წინამდებარე ტექნიკური ანგარიში შედგენილია საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტ „ტრანსპროექტ“-სა (შემკვეთი) და შპს „ჯეონინჟინინგს“ (შემსრულებელი) შორის 2018 წლის 3 ოქტომბერს დადებული №GC-1838 ხელშეკრულების შესაბამისად.

სამშენებლო ტერიტორია მდებარეობს საქართველოში, მდ. ენგურის ხეობაში და ადმინისტრაციულად მიეკუთვნება მესტიის მუნიციპალიტეტის ეცერის თემს.

კვლევითი სამუშაოების ფარგლებში განხორციელდა:

- არსებული ფონდური და ლიტერატურული მასალის მოძიება და შესწავლა;
- საინჟინრო-გეოლოგიურ აგეგმვა;
- ვერტიკალური და ჰორიზონტალური საძიებო ჭაბურღილების ბურღვა;
- ვერტიკალური ელექტროზონდირება;
- კლდოვანი ქანის ნაჩენების დეტალური გეომექანიკური აღწერა;
- ჭაბურღილის კერნიდან და ნაჩენებიდან აღებული ნიმუშების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ლაბორატორიული გამოკვლევა;
- გრუნტის წყლისა და ზედაპირული წყლების სინჯების ქიმიური ანალიზი და აგრესიულობის შეფასება;
- საველე და ლაბორატორიული კვლევების მასალების საოფისე დამუშავება და ტექნიკური ანგარიშის შედგენა.

საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა მოიცავდა ზუგდიდი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის დაახლოებით 2 კმ სიგრძის მონაკვეთს, სადაც პროექტდება მეწყრული მონაკვეთის ასაქცევი გვირაბი. იგი ასევე მოიცავს 610 მ. სიგრძის სახიდე გადასასვლელის (როგორც გვირაბის ალტერნატივის) განლაგების ზოლსაც.

საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვის შედეგები მოცემულია საინჟინრო-გეოლოგიურ რუკაზე (ნახაზი №GC-1838-1). მასზე აღნიშნულია აგრეთვე ჭაბურღილების, ვერტიკალური ელექტროზონდირების და ნაჩენების დეტალური გეომექანიკური აღწერის წერტილები, აგრეთვე ნაჩენებიდან გრუნტის ნიმუშების და ზედაპირული წყლის სინჯების აღების ადგილები.

გრუნტების ნიმუშების და გრუნტის წყლების სინჯების შედგენილობისა და თვისებების ლაბორატორიული გამოკვლევა განხორციელდა შ.პ.ს ჯეონინჟინირინგის ლაბორატორიაში, შესაბამისი სტანდარტების მიხედვით. საველე და ლაბორატორიული კვლევების ჩამონათვალი და სტანდარტები, რომელთა მიხედვითაც ეს კვლევები განხორციელდა, მოცემულია ცხრილ 1.1-ში.

ცხრილი 1.1 სამუშაოთა შესრულების სტანდარტები

№	დასახელება	ცდის შესრულების სტანდარტი
1	საველე სამუშაოები:	
1.1	გრუნტების ნიმუშების აღება, შეფუთვა, შენახვა	სახსტ. 12071-84
2	ლაბორატორიული კვლევები:	
2.1	გრანულომეტრიული შედგენილობა	სახსტ. 12536-79
2.2	სიმკვრივე	სახსტ. 5180-84
2.3	მინერალური ნაწილის სიმკვრივე	
2.4	ბუნებრივი ტენიანობა	
2.5	პლასტიკურობა	
2.6	კლდოვანი ქანების გამოცდა წერტილოვანი დატვირთვით	სახსტ. 24941-81
2.7	კლდოვანი ქანების გამოცდა ერთდერბა კუმშვაზე	სახსტ. 21153.2-84
2.9	კლდოვანი ქანების ძერაზე გამოცდა ბუნებრივი ნაპრალის ზედაპირის გასწვრივ	ASTM D 5607
2.8	გრუნტის წყლების ქიმიური ანალიზი	სახსტ. 4889-72 სახსტ. 4245-72
3	გრუნტების კლასიფიკაცია	სახსტ. 25100-82

ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევებისათვის შესრულებული საველე, ლაბორატორიული და კამერალური სამუშაოების სახეობები და მოცულობები, მოცემულია ცხრილ-1.2-ში.

ცხრილი-1.2 უბნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევისათვის შესრულებული სამუშაოების სახეობები და მათი მოცულობები

№	დასახელება	ერთეულის განზომილება	რაოდენობა
1	საველე სამუშაოები		
1.1	მისასვლელი გზების და გვირაბის ზოლის საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა 1:2000 მასშტაბში, გრუნტების ზედაპირული ნიმუშების აღებით	1 კმ	2
1.2	ვერტიკალური ჭაბურღილების ბურღვა გრუნტების დარღვეული და დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუშების აღებით (BH-2, BH-4)	ჭაბ/გრძ.მ	2/110
1.3	ჰორიზონტალური ჭაბურღილების ბურღვა გრუნტების დარღვეული და დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუშების აღებით (BH-3, BH-3A)	ჭაბ/გრძ.მ	2/124
1.4	გეოფიზიკური გამოკვლევა, გრუნტების ვერტიკალური ელექტრო ზონდირება გვირაბის ღერძის გასწვრივ და პორტალურ უბნებზე.	ვეზი	31
1.5	გეოფიზიკური გამოკვლევა, გრუნტების ვერტიკალური ელექტრო ზონდირება საპროექტო ხიდის განაპირა ბურ-ჯებზე.	ვეზი	2
2	ლაბორატორიული კვლევები		
2.1	არაკლდოვანი და კლდოვანი გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ლაბორატორიული გამოკვლევა	1 კომპლექსი	91
2.2	გრუნტების და გრუნტის წყლების ქიმიური ანალიზი	ანალიზი	4
3	საოფისე სამუშაოები		
3.1	არსებული ფონდური და ლიტერატურული მასალის მოძიება და შესწავლა	კომპლექტი	1
3.2	საველე და ლაბორატორიული კვლევების მასალების საოფისე დამუშავება	კომპლექტი	1
3.3	ანგარიშის შედგენა საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ	1 ანგარიში	1

2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების უმსჯავლილობა

არსებული ფონდური საინჟინრო-გეოლოგიური, საინჟინრო-კვლევითი, საპროექტო და შესაბამისი მეცნიერული ლიტერატურის მოძიებისას დადგინდა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში, ზუგდიდი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის 116 კმ-ზე მეწყრული მონაკვეთის ასაქცევი გვირაბის დაპროექტების საკითხი არასდროს განხილულა და შესაბამისად ადრე არ ჩატარებულა რაიმე საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები. ამ ტექნიკური ანგარიშის შედგენისას გამოყენებული იქნა რაიონის შესახებ ჩვენს მიერ მოძიებული არსებული

საფონდო და ლიტერატურული მასალები, საკვლევი ტერიტორიის კლიმატური, გეომორფოლოგიური, ჰიდროლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკურ ანგარიშში მოცემული ინფორმაციის უდიდესი ნაწილი მიღებულია შ.პ.ს ჯეონინჟინინგის მიერ ჩატარებული და ცხრილ 1.2-ში მოცემული კომპლექსური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საფუძველზე.

3. ბუნებრივი გარემოს დახასიათება

3.1 კლიმატი

კლიმატური მონაცემები აღებულია საქართველოს სამშენებლო კლიმატოლოგიური ნორმიდან - პნ 01.05-08, საპროექტო უბანთან ყველაზე ახლომდებარე მეტეოპუნქტ „მესტია“-ს მიხედვით რომელიც მდებარეობს 43°03' განედსა და 42°45' გრძედზე და მისი აბს. ნიშნულია 1445 მ ზღვის დონიდან, ბარომეტრული წნევით 855 კპა.

აღნიშნული ნორმის ცხრილ 2-ში მოცემული სამშენებლო-კლიმატური მახასიათებლების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება I კლიმატური რაიონის „გ“ ქვერაიონს.

ცხრილი 3.1 კლიმატური ქვერაიონის კლიმატური მახასიათებლები (ცხრილი-2)

კლიმატური რაიონი	კლიმატური ქვერაიონი	იანვრის საშუალო ტემპერატურა °C	ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წმ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, °C	ივლისის ფარდობითი ტენიანობა, %
I	I _გ	-4-დან+2-მდე	-	+25-დან+28-მდე	-

ცხრილი 3.2 ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა (ცხრილები 11, 12, 13)

#	კლიმატური მახასიათებელი	თვეების მიხედვით												წლიური
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
1	ჰაერის საშუალო თვიური და წლ. ტემპერატურა, °C	-6.0	-4.6	-0.5	5.2	11.0	14.0	16.4	16.3	12.0	7.1	1.6	-4.1	5.7
2	ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი, °C	-35												
3	ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი, °C	36												
4	ყველაზე ცხელი თვის საშუალო მაქსიმუმი, °C	-	-	-	-	-	-	24.8	-	-	-	-	-	-
5	ჰაერის ტემპერატურის საშუალო ამპლიტუდა, °C	10.7	10.1	10.4	11.2	11.3	11.6	11.9	12.6	11.6	11.5	9.8	9.9	-
6	ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %	80	78	74	72	68	70	70	71	76	78	79	80	75

ცხრილი-3.3 ნალექების რაოდენობა და თოვლის საფარი (ცხრილები 15, 17)

ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღეღამური მაქსიმუმი, მმ	თოვლის საფარის წონა, კპა	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა, მმ
965	103	1.45	130	157

ცხრილი-3.4 ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობები (ცხრილი-18)

W_0 5 წელიწადში ერთხელ, კპა	W_0 15 წელიწადში ერთხელ, კპა
0.17	0.23

ცხრილი-3.5 ქარის უდიდესი სიჩქარე, შესაძლებელი 1, 5, 10, 15, 20 წელიწადში ერთხელ, მ/წმ (ცხრილი-19)

1 წელიწადში	5 წელიწადში	10 წელიწადში	15 წელიწადში	20 წელიწადში
14	17	19	20	20

ცხრილი-3.6 ქარის მიმართულების განმეორებადობა (ცხრილი-19)

ქარის მახასიათებელი	მიმართულება								შტილი
	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	
ქარის მიმართულების და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში	30	16	5	3	8	28	5	5	60

ცხრილი 3.7 გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ (ცხრილი-20)

თიხა და თიხნარი გრუნტი	ქვიშა წვრილი და მტვრისებრი, ქვიშნარი	ქვიშა საშუალო და მსხვილი, ხრეშოვანი ქვიშა	მსხვილნატეხოვანი გრუნტი
90	108	111	135

3.2 გეომორფოლოგიური და ჰიდროგრაფიული პირობები

გეომორფოლოგიურად საპროექტო ტერიტორია შედის ცენტრალური კავკასიონის იმ ოროგრაფიულ ნაწილში, რომელიც საქართველოს გეომორფოლოგიურ აღეწრილობაში იწოდება როგორც ზემო სვანეთის ქვაბული და მდ. ენგურის ხეობა, მის შენაკადებთან ერთად. იგი წარმოადგენს ტექტონიკურ-ეროზიულ ღრმულს, რომელიც ჩრდილოეთიდან ისაზღვრება კავკასიონის მთავარი ქედით, დასავლეთიდან კოდორის ქედით, ხოლო

სამხრეთიდან სვანეთისა და ოდიშის ქედებით. ყველა მხრიდან მაღალი ქედებით შემოზღუდულ ზემო სვანეთის ქვაბულს აქვს ერთადერთი გასასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან სოფ. ხაიშის შემდეგ ენგურის ხეობის სახით. მთელი ქვაბულის ყველაზე დაბალი ნიშნული სოფ. იდლიანთან შეადგენს 500 მეტრს. ქვაბულის სიღრმე, მდ. ენგურის დონიდან მისი შემომფარგვლელი ქედების თხემებამდე, შეადგენს 2500-3500 მეტრს.

ზემო სვანეთის ქვაბული მიეკუთვნება რთული მაღალმთიანი ქვაბულების ტიპს, დამახასიათებელი სხვადასხვა სახის ოროგრაფიული (გენეზისის მიხედვით ძირითადად ეროზიული) დანაწევრებით. ენდოგენური მორფოლოგიური კომპლექსებიდან, ზემო სვანეთის რელიეფში გამოიყოფა წყლოვან-ეროზიული, მყინვარული და სელექტურ-დენუდაციური ფორმები. მეზო და მიკრორელიეფის შექმნაში წამყვანი როლი ეკუთვნის წყლოვან ეროზიას. მყინვარული ფორმები დამახასიათებელია მდინარეთა ხეობების ზედა ნაწილებისათვის, ტროგების სახით ზღვის დონიდან 1200-1800 მ. სიმაღლის ინტერვალში, აგრეთვე 2200-2400 მ. სიმაღლეთა ინტერვალში ქედების ფერდობებზე განვითარებული ფორმები, მყინვარული ცირკებისა და კარების სახით.

საკვლევი ტერიტორიის მთავარ ჰიდროგრაფიულ არტერიას წარმოადგენს მდ. ენგური თავისი მრავალრიცხოვანი შენაკადებით, რომელიც სათავეს იღებს მყინვარ ენგურზე, ზღვის დონიდან 2614 მ-ზე. ენგურის ხეობის ფსკერი ვიწრო და კლაკნილია, მისი სიგანე ზოგან მდინარის კალაპოტის სიგანეს არ აღემატება. საავტომობილო გზა განლაგებულია ხეობის მარჯვენა ფერდობზე, მდინარიდან რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლეზე. ხეობის ფერდობების დახრილობა ცვალებადია, უმეტესად ციცაბო, მათში ჩატრილია მრავალი მცირე და დიდი ეროზიული წარმოშობის ხევი.

უშუალოდ საკვლევი უბანი მდებარეობს სვანეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდ. ენგურის ღრმად ჩატრილი ხეობის მარჯვენა ციცაბო ფერდობზე. საკვლევი უბნის ფარგლებში მკაფიოდ დაიკვირვება, პალეოგენეზისის, ამჟამად სტაბილიზირებული სეისმო-ტექტონოგენური ბლოკური მეწყრის სტრუქტურა.

საპროექტო გვირაბის განთავსების უბნის მიკრორელიეფი არაერთგვაროვანია, იგი ორ ეროზიულ, საკმაოდ ღრმად ჩატრილ ხევს შორისაა მოქცეული. მისგან აღმოსავლეთით განლაგებული ხევი სოფ. ქართველთან ჩამოედინება, ხოლო დასავლეთით განლაგებული ხევი – სოფ. კალაშთან. უბანი წარმოადგენს აღნიშნულ ხევებს შორის ფორმირებულ გვერდითა ქედს, ენგურისკენ დახრილი ზედაპირით. ქედის ზედა ნაწილი შედარებით გავაკებული და მოგლუვებულია, ხოლო ქვედა ნაწილი შედარებით ციცაბოა, უსწორმასწორო, ეროზირებული, მეწყრული და ტექნოგენურად სახეცვლილი მიკრორელიეფით. ეროზიული და მეწყრული პროცესების გავლენა რელიეფზე განსაკუთრებით საგრძნობია უშუალოდ საპროექტო გვირაბის განლაგების უბანზე, სადაც აღნიშნული გვერდითა ქედის ცენტრალურ ნაწილში ფორმირებულია ფართე ღარტაფი, გაშლილი ფსკერთა და ფერდობებით. როგორც გზის ზევით, ასევე ქვევით ღარტაფის ფსკერისა და ფერდობების მიკრორელიეფში ზედაპირული

წყლების მუდმივი და დროებითი ნაკადების მოქმედებით მრავალი მცირე ეროზიული ხევი და ხრამი, აგრეთვე დენადპლასტიკური მეწყრული სხეულია წარმოქმნილი. კვეთს-რა აღნიშნულ დარტაფს, საავტომობილო გზა საპროექტო მონაკვეთის ფარგლებში მრავალ მოსახვევს აკეთებს, რაც აქ ფერდობის სხვადასხვა ნაწილში მომხდარი მეწყრული დეფორაციებითა და ამის გამო მისი რეაბილიტაციისათვის განხორციელებული მიწისა და სხვა სამშენებლო სამუშაოების წარმოებითაა გამოწვეული. ეროზიული ხრამთწარმოქმნის ხელშემწყობია მცენარეული საფარის სიმცირე ფერდობის ზედაპირზე, აგრეთვე ფერდობის ამგები კლდოვანი მასივის ზედაპირული ნაწილის გამოფიტულობა და მისი ტექტონიკური ბლოკური აგებულება სიღრმეში.

3.3 გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა

ზემო სვანეთის ფარგლებში დიდი კავკასიონის სტრუქტურული კომპლექსი ნაწილდება მთავარი ქედის და სამხრეთი ფერდის ნაოჭა სისტემებად. მთავარი ქედი დასერილია სუბგანედური და მათი მართობული სუბმერიდიანული რღვევებით, რომელიც მკვეთრად არის გამიჯნული სამხრეთი ფერდის ნაოჭა სისტემისგან რეგიონალური სტრუქტურული ნაკერის მეშვეობით, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია „მთავარი შეცოცების“ სახელით. ამ რღვევის გასწვრივ მთავარი ქედის კრისტალური გული რამდენიმე კილომეტრი პორიზონტალური ამპლიტუდით შემოცოცებულია სამხრეთი ფერდის ნაოჭა სისტემის ღიასურ ნალექებზე. „მთავარი შეცოცება“ არ წარმოადგენს ერთ მთლიან სიბრტყეს, რომლის გასწვრივაც ხდებოდა მოძრაობები, არამედ ერთმანეთთან დაკავშირებულ რღვევით სისტემებს, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან აღნიშნულ ნაკერს.

საკვლევი ტერიტორია ტექტონიკურად მიეკუთვნება კავკასიონის ნაოჭა სისტემის ჩხალთა-ლაილის ზონას. მდ. ენგურის მარჯვენა ფერდობი, რომლის ფარგლებშიც თავსდება გამოკვლეული ტერიტორია, წარმოადგენს ანტიკლინის ჩრდილოეთ ფრთას. მის აგებულებაში მონაწილეობს მეზოზოური ტერიგენული ფორმაციის, ქვედა და შუა იურული ასაკის ე.წ. სორის წყების ნალექები (J_{1-2S}), რომლებიც ლითოლოგიურად თიხაფიქლებითაა წარმოდგენილი. თიხაფიქლების ამ წყებაში ზოგან შერეულია ასპიდური ფიქლებიც, უფრო მეტი მეტამორფიზაციის ხარისხით, თუმცა უშუალოდ უბანზე ასპიდური ფიქლები პრაქტიკულად არ არის გამოვლენილი. თიხაფიქლები თხელშრეებრივი და ფურცლოვანია. თიხაფიქლების წყება ინტენსიურად დისლოცირებულია, ტექტონიკურად აშლილი ქერცლოვანი შეცოცებებით და სხვადასხვა მიმართულების რღვევებით, რომლებიც ქმნიან რთული ტექტონიკური აგებულების მორფოსტრუქტურებს. საქართველოს ტექტონიკური რუკის მიხედვით (რედაქტორი ი.პ გამყრელიძე, 2009წ) უბნის ჩრდილოეთით, მისგან 4 კმ-მდე მანძილში გადის ზემოთაღნიშნული სუბგანედური მიმართულების „მთავარი

შეცოცება“ (ტექტონიკური ზეწარი), რომელსაც სამხრეთიდან თითქმის პარალელურად მიუყვება მსხვილი ტექტონიკური რღვევა. ეს უკანასკნელი-კი საპროექტო უბანთან ახლოს, მისგან ჩრდილოეთით 1.0-1.5 კმ მანძილში გადის. ჩატარებული სავსე კვლევები ცხადყოფს, რომ საპროექტო უბანი აღნიშნული რეგიონალური რღვევების გავლენის ზონას მიეკუთვნება, სადაც მასივი უფრო დაბალი რანგის რღვევებითაა ცალკეულ ბლოკებად დანაწევრებული. ასეთი რღვევები უმეტესად უხილავია მეოთხეული წარმონაქმნებისა და ელუვიური საფარის ქვეშ, ბლოკები ერთიმეორის მიმართ მცირედაა გადაადგილებული, თუმცა მასივის შიგნით და მათ შორის გვირაბის განლაგების ზოლში, არ არის გამორიცხული ტექტონიკურად აშლილი ან შეკუმშული ლოკალური ზონების არსებობა, მომატებული სამთო წნევებით. საინჟინრო-გეოლოგიური აგებებით ვიზუალურად დადგენილია ტექტონიკური რღვევის არსებობა, რომლითაც უბანზე იფარგლება მსხვილი ტექტონიკური ბლოკი. ბლოკი სავარაუდოდ სტრუქტურულ (სეისმოტექტოგენურ) მეწყერს წარმოადგენს (იხ. ანგარიშის გრაფიკული ნაწილი, ნახაზები №GC-1838-1 და №GC-1838-2), ძირითადი მასივისაგან აღნიშნული ნაპრალით გამხოლოებული და სხვა უფრო მცირე ნაპრალებით დანაწევრებული სხეულით. სტრუქტურული (სეისმოტექტოგენური) მეწყერი ამჟამად სტაბილურ მდგომარეობაშია, თუმცა არ არის გამორიცხული მისი გარკვეული გადაადგილება ძირითადი მასივის მიმართ, განსაკუთრებით მეტ-ნაკლებად ძლიერი მიწისძვრის დროს.

ტექტონიკური რღვევა გამოვლენილია აგრეთვე საპროექტო გვირაბის დასავლეთი პორტალის უბანზე (რაც ემთხვევა ალტერნატიული სახიდე გადასავლელის I ბურჯის განლაგების ადგილსაც), გვერდითა ქედის თხემის სიახლოვეს. რღვევით შემოფარგლულია გარკვეული ტერიტორია და იგი სავარაუდოდ, ასევე ტექტონიკური ბლოკს წარმოადგენს.

მდ. ენგურის აუზში ძირითადი კლდოვანი ქანები დაფარულია დელუვიურ-კოლუვიური და მეწყერული გენეზისის მეოთხეული არაკლდოვანი გრუნტების ცვალებადი სისქის ფენებით. მათ შორის დელუვიურ-კოლუვიური ნალექები (dcQIV) გავრცელებულია საპროექტო ტერიტორიის პერიფერიულ ნაწილში და მიმდებარე ზონაში, ხოლო მეწყერულ ნალექებს (dlQIV) უკავია მისი ცენტრალური, 200-დან 250 მ-მდე სიგანის ზოლი ხეობის ფსკერიდან გზამდე და მის ზევით 440 მ-მდე მანძილზე (იხ. ნახაზი №GC-1838-1). ძირითადი კლდოვანი ქანები ფერდობის მხოლოდ გარკვეულ უბნებზეა გაშიშვლებული ზედაპირზე. კლდოვანი ქანების ნაჩენებში შრეთა დაქანების აზიმუტი ჩრდილო-დასავლურ-ჩრდილო-აღმოსავლურია და იცვლება 330-30 გრადუსის ფარგლებში, ხოლო შრეების დახრილობა 12-დან 70⁰ - მდე მერყეობს. ნაჩენებში შესრულებულია ქანების ნაპრალიანობის გამოკვლევა და აღებულია ქანების მონოლითური სტრუქტურის ნიმუშები მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გამოკვლევისათვის.

საქართველოში ამჟამად მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების - „სეისმომდევო მშენებლობა“ (პნ 01.01-09) მიხედვით, სამშენებლო უბნის სეისმურობა, MSK64 სკალის შესაბამისად, არის 9 ბალი.

3.4 ჰიდროგეოლოგიური პირობები

საკვლევ უბანზე მიწისქვეშა წყლები, ცირკულაციის ტიპის მიხედვით, ორ ნაწილად იყოფა, - ფორული ცირკულაციისა და ნაპრაღური ცირკულაციის წყლებად. პირველი მათგანი, ანუ ფორული ცირკულაციის წყლები დაკავშირებულია ფერდობების ფუძეში და განსაკუთრებით თვით ფერდობებზე განვითარებულ მეოთხეულ გრუნტებთან. აღნიშნული ჰორიზონტი მცირედ წყალშემცველია, მათი კვება ხდება ატმოსფერული ნალექების ხარჯზე და ამდენად ტენის შემცველობა მათში იცვლება მეტი ან ნაკლები ნალექიანობის შესაბამისად. ამ გრუნტებში ქვაბულის ან თხრილის დამუშავებისას მნიშვნელობანი წყალმოდენა მოსალოდნელი არ არის.

ტერიტორიის ფარგლებში ერთ-ერთ წყალშემცველ ჰორიზონტს კლდოვანი ქანების ნაპრაღური წყლები წარმოადგენს. წყლის შემცველობა კლდოვან ქანებში დამოკიდებულია ქანების ნაპრაღიანობის ხარისხზე. კლდოვანი მასივი არის სპორადულად გაწელიანებული. გრუნტის წყლის სავარაუდო დონედ განისაზღვრება გამოფიტული და შედარებით საღი ქანების საკონტაქტო ზედაპირი. მასივის მონოლითური აგებულების ზონებში წყლის შემცველობა ნაკლებია, ხოლო შედარებით დარღვეული ანუ მეტი ღრულობის მქონე ზონები წარმოადგენენ მიწისქვეშა წყლების თავისებურ კოლექტორს და მეტად არის გაწელიანებული. საკვლევ უბანზე გამოვლენილი წყაროების დებიტი 0.05-0.2 ლ/წმ-ში მერყეობს. ნაპრაღური წყლების გამოვლენას ადგილი ექნება გვირაბის გაყვანის დროს, ძირითადად წვეთვის სახით. გვირაბში წყლის მოდენის ინტენსივობა დამოკიდებული იქნება მასივის დანაწევრების ხარისხზე მის ამა-თუ იმ მონაკვეთში. ყველაზე დიდი რაოდენობით წყალმოდენას ადგილი ექნება ტექტონიკური რღვევებიდან, ნაპრაღებიდან და მათი ზონებიდან, სადაც ქანების ნაპრაღიანობა, უმეტეს შემთხვევაში, მომატებულია. გვირაბში წყლის მოდენის პროგნოზი, მისი სხვადასხვა მონაკვეთში, მასივის ტექტონიკური პირობების გათვალისწინებით, მოცემულია გვირაბის გრძივ საინჟინრო-გეოლოგიურ ჭრილზე (იხ. ანგარიშის გრაფიკული ნაწილი, ნახაზი №GC-1838-2).

4. საინჟინრო-გეოლოგიური პირობებები

4.1 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების დასასიათება

საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიურ გარემოში, საველე და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების მიხედვით, გამოიყოფა გრუნტების 6 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სბე).

გრუნტების კლასიფიკაცია გაკეთებულია სახ. სტ. 25100-82-ის მიხედვით.

საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტები (**სბმ**) გრაფიკულად ასახულია სამშენებლო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიურ რუკაზე და ჭრილებზე (ნახ. №№ GC-1838-1; GC-1838-2, GC-1838-3). გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური კლასიფიკაცია, **სბმ**-ების გავრცელება სიღრმეში ჭაბურღილების მიხედვით, მოცემულია ცხრილ 4.1-ში.

ცხრილი-4.1 სბმ-ების გავრცელება სიღრმეში ჭაბურღილების მიხედვით

სბმ №	ელემენტის დასახელება	ჭაბურღილის №			
		ჭაბ-2 (ვერტ.)	ჭაბ-3 (ჰორიზ.)	ჭაბ-3ა (ჰორიზ.)	ჭაბ-4 (ვერტ.)
1	ღორღოვანი გრუნტი ქვიშნარის შემავსებლით (ტე-ქნოგენური- tQ _{IV})	-	-	-	-
2	თიხნარი, ნახევრადმაგარი, ხვინჭიან-ღორღიანი, ლოდების ჩანართებით (დელუვიურ-კოლუვიური- dcQ _{IV})	0.0-7.0	-	-	0.0-3.0
3	თიხნარი, დენადპლასტიკურიდან რბილპლასტიკურამდე, ხვინჭიან-ღორღიანი, კენჭების, კაჭარის და ლოდების ჩანართებით (მეწერული- dlQ _{IV})	-	-	-	-
4	თიხაფიქლები, გამოფიტული, მცირე სიმტკიცის, თხელ და ფურცლოვან-შრეებრივი (J _{1-2s})	7.0-19.0	0.0-4.0	0.0-4.0	3.0-22.0
5	თიხაფიქლები, დადაბლებული სიმტკიცის, რღვევის შესუსტებული ზონიდან (J _{1-2s})	26.0-38.5 45.7-46.2	-	31.0-37.0	31.0-34.0
6	თიხაფიქლები, სუსტად გამოფიტული, საშუალო სიმტკიცის, თხელ და ფურცლოვან-შრეებრივი (J _{1-s})	19.0-26.0 38.5-45.7 46.2-70.0	4.0-32.0	4.0-31.0 37.0-92.0	34.0-40.0

სბმ-1 – ღორღოვანი გრუნტი ქვიშნარის შემავსებლით - tQ_{IV} ტექნოგენური გრუნტი. იგი საკვლევ უბანზე ფიქსირდება საავტომობილო გზის ყრილში. ელემენტი არ გამოვლენილა ჩვენს მიერ გაბურღილ არცერთ ჭაბურღილში, მისი გავრცელების ფარგლები მოცემულია საკვლევი უბნის საინჟინრო-გეოლოგიურ რუკაზე და ჭრილებზე (იხ. ნახ. GC-1838-1, GC-1838-2 და GC-1838-3). ნაჩენებიდან აღებულ ნიმუშზე განისაზღვრა ელემენტის გრანულომეტრიული შედგენილობა და ფიზიკური თვისებები. შედეგები მოცემულია ცხრილებში-4.2 და 4.3-ში

ცხრილი-4.2 გრანულომეტრიული შედგენილობა

ნაჩენი №	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ	ფრაქციის ზომა, მმ														
		>200.0	200.0-100.0	100.0-60.0	60.0-40.0	40.0-20.0	20.0-10.0	10.0-5.0	5.0-2.0	2.0-1.0	1.0-0.5	0.5-0.25	0.25-0.1	0.1-0.05	0.05-0.01	0.01-0.005
19	0.0-0.5	-	3.6	5.1	9.2	10.0	27.0	11.0	7.1	6.2	5.8	3.6	5.1	6.3		
28	0.0-0.5	-	4.2	6.3	7.5	15.9	19.6	9.1	6.6	4.9	7.5	2.7	4.6	11.1		

ცხრილი-4.3 ფიზიკური თვისებები

ნაჩენი №	ნიმუშის აღების სიღრმის ინტერვალი, მ	ბუნებრივი ტენიანობა, W%	შემავსებლის ტენიანობა, W%	პლასტიკურობა			კონსისტენციის მაჩვენებელი, L
				ზედა ზღვარი, W%	ქვედა ზღვარი, W%	პლასტიკურობის რიცხვი, I _p	
19	0.0-0.5	10.9	17.2	28.8	22.8	6.0	-0.93
28	0.0-0.5	9.5	15.4	29.3	23.8	5.5	-1.53

მიღებული შედეგების მიხედვით:

- სბმ-1 ღორღოვანი გრუნტია, რადგან გრუნტში 10 მმ-ზე მსხვილი ფრაქცია მეტია 50 %-ზე;
- შემავსებელი არის ქვიშნარი ვინაიდან მისი პლასტიკურობის რიცხვი იცვლება I_p - 5.5-დან 6.0-დევ;
- ფენის სიმკვრივედ მიღებული უნდა იქნას ρ=2.0გრ/სმ³.

სბმ-2 – თიხნარი, ნახევრადმაგარი, ხვინჭიან-ღორღიანი, ლოდების ჩანართებით - dcQ_{IV}. ფენა დელუვიურ-კოლუვიური გრუნტია, იგი ფიქსირდება №2 და №4 ჭაბურღილებში. მისი სისქე იცვლება 3 მ-დან 7 მ-დევ. საკვლევ უბანზე აღნიშნული საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი ფართოდ არის გავრცელებული და გვხვდება ფერდობებზე საფარი გრუნტის სახით. სგე-2-ის გავრცელების ფარგლები მოცემულია საინჟინრო-გეოლოგიურ რუკაზე და ჭრილებზე (იხ. ნახ. GC-1838-1, GC-1838-2 და GC-1838-3).

ფენიდან აღებულ ნიმუშებზე განისაზღვრა ელემენტის გრანულომეტრიული შედგენილობა და ფიზიკური თვისებები. შედეგები მოცემულია ცხრილებში-4.4 და 4.5-ში

ცხრილი-4.4 სგე-2-ის გრანულომეტრიული შედგენილობა

ნაჩენი №	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ	ფრაქციის ზომა, მმ															
		>200.0	200.0-100.0	100.0-60.0	60.0-40.0	40.0-20.0	20.0-10.0	10.0-5.0	5.0-2.0	2.0-1.0	1.0-0.5	0.5-0.25	0.25-0.1	0.1-0.05	0.05-0.01	0.01-0.005	< 0.005
49	0.3-0.5	-	-	-	2.2	6.8	7.3	4.8	7.1	3.7	4.4	3.9	4.1	6.7	7.1	9.3	32.6
50	0.3-0.5	-	-	3.1	4.9	5.4	10.3	3.1	2.1	2.9	4.2	3.3	2.0	4.5	10.1	7.6	36.5
26	0.5-0.7	-	1.9	2.5	1.3	1.6	3.3	5.1	1.5	4.4	5.0	3.9	4.1	5.0	9.7	10.5	40.2
24	0.3-0.5	5.0	-	3.3	6.0	2.1	2.9	4.1	3.3	2.9	4.2	3.3	4.0	3.6	9.5	8.4	37.4
23	0.5-0.7	-	4.5	2.5	4.1	3.3	6.3	4.9	2.7	3.3	3.7	2.5	3.5	6.0	7.7	6.9	38.1
28	0.0-0.5	-	-	2.8	3.3	4.2	3.3	1.5	2.2	6.0	8.1	2.0	5.0	7.4	6.6	10.8	36.8

ცხრილი-4.5 სგე-2-ის ფიზიკური თვისებები

ნაჩენი №	ნიმუშის აღების სიღრმის ინტერვალი, მ	ბუნებრივი ტენიანობა, W%	პლასტიკურობა			კონსისტენციის მაჩვენებელი, I _L	სიმკვრივე, გრ/სმ ³			ფორიანობა, n%	ფორიანობის კოეფიციენტი, e	ტენიანობის ხარისხი, S _w
			ზედა ზღვარი, W %	ქვედა ზღვარი, W _p %	პლასტიკურობის რიცხვი, I _p		მინერალური ნაწილაკების, ρ _s	ბუნებრივი, ρ	წონის, ρ _d			
49	0.3-0.5	32.5	45.9	29.1	16.8	0.20	2.70	1.80	1.36	49.69	0.988	0.889
50	0.3-0.5	31.8	44.3	28.9	15.4	0.19	2.70	1.80	1.37	49.42	0.977	0.879
26	0.5-0.7	33.4	46.2	29.5	16.7	0.23	2.70	1.81	1.36	49.75	0.990	0.911

ნაწილი №	ნომუსის აღების სიღრმის ინტერვალი, მ	ბუნებრივი ტენიანობა, W%	პლასტიკურობა			კონსისტენციის მაჩვენებელი, I _L	სიმკვრივე, გრ/სმ ³			ფორიანობა, n%	ფორიანობის კოეფიციენტი, e	ტენიანობის ხარისხი, S _r
			ზედა ზღვარი, W %	ქვედა ზღვარი, W %	პლასტიკურობის რიცხვი, I _p		მინერალური ნაწილაკების, ρ _s	ბუნებრივი, ρ	ჩონჩხის, ρ _d			
24	0.3-0.5	32.9	46.9	31.2	15.7	0.11	2.70	1.80	1.35	49.84	0.994	0.894
23	0.5-0.7	33.5	47.7	30.9	16.8	0.15	2.70	1.82	1.36	49.51	0.980	0.922
28	0.0-0.5	31.0	45.1	29.8	15.3	0.08	2.70	1.80	1.37	49.11	0.965	0.867

მიღებული შედეგების მიხედვით:

- სბმ-2 არის თიხნარი ვინაიდან პლასტიკურობის რიცხვი I_p=16.1;
- თიხნარი არის ნახევრადმაგარი კონსისტენციის, ვინაიდან I_L=0.16;
- ბუნებრივი სიმკვრივე ρ=1.81 გრ/სმ³.

ფიზიკური თვისებების მახასიათებელთა სიდიდეებიდან გამომდინარე, ნორმატიული და საცნობარო ლიტერატურის მიხედვით, სგე-2-ის მექანიკური თვისებების მახასიათებელთა მნიშვნელობებად შეიძლება მივიღოთ:

- შინაგანი ხახუნის კუთხე φ=19°;
- შეჭიდულობის ძალა C=0.018მპა;
- დრეკადობის მოდული E=35მპა;
- პუასონის კოეფიციენტი ν=0.37.

სბმ-3 – თიხნარი, დენადპლასტიკურიდან რბილპლასტიკურამდე, ხვინჭიან-ლორლიანი, კენჭების, კაჭარის და ლოდების ჩანართებით. ელემენტი გენეტიკურად მეწყრული გრუნტია (dlQ_{IV}) და ხასიათდება შედგენილობის და თვისებების არაერთგვაროვნებით. იგი ჭაბურღილებში არ დაფიქსირებულა, თუმცა საკვლევი უბნის ფარგლებში ფართოდ არის წარმოდგენილი ფერდობზე, როგორც საავტომობილო გზის ზედა ნაწილში, ასევე მის ქვემოთ, მდ. ენგურის ხეობის ფსკერის მიმართულებით. მისი სისქე ვერტიკალური ელექტრო-ზონდირების მონაცემების მიხედვით იცვლება 8 - 25 მ-დე. სგე-3-ის გავრცელების ფარგლები მოცემულია საკვლევი უბნის საინჟინრო-გეოლოგიურ რუკაზე და ჭრილებზე (იხ. ნახ. GC-1838-1, GC-1838-2 და GC-1838-3). ფენიდან აღებულ ნიმუშებზე განისაზღვრა ელემენტის გრანულომეტრიული შედგენილობა და ფიზიკური თვისებები. შედეგები მოცემულია ცხრილებში-4.6 და 4.7-ში

ცხრილი-4.6 სგე-3-ის გრანულომეტრიული შედეგნილობა

ნაჩენი №	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ	ფრაქციის ზომა, მმ															
		>200.0	200.0-100.0	100.0-60.0	60.0-40.0	40.0-20.0	20.0-10.0	10.0-5.0	5.0-2.0	2.0-1.0	1.0-0.5	0.5-0.25	0.25-0.1	0.1-0.05	0.05-0.01	0.01-0.005	< 0.005
35	0.3-0.5		3.0	2.1	3.9	7.4	6.5	4.1	3.6	4.2	4.5	2.3	4.5	3.1	5.8	9.1	35.9
36	0.3-0.5	4.0	4.5	5.5	2.6	4.9	5.1	3.8	2.5	2.7	3.0	1.9	3.6	4.4	3.2	12.3	36.0
38	0.3-0.5		5.9	4.2	6.5	5.5	4.0	2.1	2.4	3.9	5.1	4.5	3.3	5.7	4.9	7.1	34.9

ცხრილი-4.7 სგე-3-ის ფიზიკური თვისებები

ნაჩენი №	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ	ბუნებრივი ტენიანობა, W%	პლასტიკურობა				სიმკვრივე, გრ/სმ ³					ფორიანობა, n%	ფორიანობის კოეფიციენტი, e	ტენიანობის ხარისხი, S _w
			შეკა ზღვარი, W _p %	ქვედა ზღვარი, W _p %	პლასტიკურობის რიცხვი, I _p	კონსისტენციის მაჩვენებელი, I _L	მინერალური ნაწილაკების, ρ _s	ბუნებრივი, ρ	წყალგაჯერებული, ρ	ჩონჩხის, ρ _a				
35	0.3-0.5	39.0	44.4	28.6	15.8	0.66	2.70	1.80	1.88	1.29	52.04	1.085	0.971	
36	0.3-0.5	40.0	46.1	30.1	16.0	0.81	2.70	1.81	1.91	1.27	53.12	1.133	0.992	
38	0.3-0.5	38.5	43.7	28.0	15.7	0.67	2.70	1.78	1.85	1.29	52.40	1.101	0.944	

მიღებული შედეგების მიხედვით:

- სგე-3 არის თიხნარი ვინაიდან პლასტიკურობის რიცხვი $7 < I_p < 17$;
- თიხნარი არის რბილპლასტიკურიდან დენადპლასტიკურამდე კონსისტენციის, ვინაიდან კონსისტენციის მაჩვენებელი (I_L) იცვლება 0.66-დან 0.81-დღე;
- ბუნებრივი სიმკვრივის საშუალო მნიშვნელობა $\rho = 1.80$ გრ/სმ³.

სკმ-4 – თიხაფიქლები გამოფიტული, მცირე სიმტკიცის, თხელ და ფურცლოვანშრეებრივი – (ქვედა და შუა იურული, სორის ქვედა და ზედა წყება - J1-2S). აღნიშნული ელემენტი ოთხივე ჭაბურღილში გეხვდება და გამოფიტვის ზონის სისქე იცვლება 4.0 -დან 22.0 მ-დე. სკე-4-ის გავრცელების ფარგლები მოცემულია საინჟინრო-გეოლოგიურ ჭრილებზე (იხ. ნახ. GC-1838-2 და GC-1838-3). აღნიშნული სკე-დან აღებული ნიმუშებისთვის განისაზღვრა მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები. სიმტკიცის მაჩვენებლები განისაზღვრა წერტილოვანი დატვირთვის მეთოდით (იხ. დანართი 3.2.2).

მიღებული შედეგები დამუშავდა სტატისტიკურად, სახსტანდარტ 20522-75-ის მოთხოვნათა შესაბამისად. მიღებული ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია ქვემოთ, ცხრილ 4.8-ში.

ცხრილი-4.8 სკე-4-ის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა სიდიდეების სტატისტიკური დამუშავების შედეგები

№ რიგზე	ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები	განზომილება	საშ. კვად. გადახრა σ_{Σ}	ვარიაციის კოეფიციენტი, V	მსცესის კოეფიციენტი	ასიმეტრიის კოეფიციენტი	ნორმატიული მნიშვნელობა, ρ	საანგარიშო მნიშვნელობა სანდოობის ალბათობისათვის:		
								$\alpha=0.85$	$\alpha=0.95$	$\alpha=0.99$
1	სიმკვრივე, ρ	გრ/სმ ³	0.145	0.059	-0.889	-0.622	2.447	2.410	2.386	2.357
2	სიმტკიცის ზღვარი R_c	კგძ/სმ ²	50.613	0.831	1.385	-1.362	60.883	47.344	38.740	27.985

სტატისტიკური დამუშავების შედეგების მიხედვით, სახსტ.25100-82 შესაბამისად, თიხაფიქლები კლასიფიცირდება, როგორც „მცირე სიმტკიცის“ ქანი, რადგან სიმტკიცის მახასიათებლის ნორმატიული სიდიდე $R_c=6.09$ მპა (ანუ $15 \geq R_c \geq 5$ მპა). სკე-4-ის დარბილების კოეფიციენტი $K_{დარბ.}=0.67$ რის მიხედვითაც აღნიშნული ელემენტი დარბილებადია (იხ. დანართი-3.2.5). სიმკვრივის ნორმატიული მნიშვნელობა $\rho=2.45$ გრ/სმ³.

მასივის ხარისხის (RMR) მნიშვნელობებიდან, აგრეთვე ნორმატიული და საცნობარო ლიტერატურის მიხედვით, სკე-4-ის მექანიკური თვისებების მახასიათებელთა სიდიდეებად მიღებული უნდა იქნას:

- შინაგანი ხახუნის კუთხე $\varphi=18^\circ$;
- შეჭიდულობა $C=0.075$ მპა;
- დრეკადობის მოდული $E=3900$ მპა;
- პუასონის კოეფიციენტი $\nu=0.33$.

ჭაბურღილების კერნის შეფასების მიხედვით განისაზღვრა სგე-4-ის ჯამური რეიტინგი (RMR) და ხარისხი, რის მიხედვითაც RMR=26 და კლდოვანი მასივი სადაც ფიქსირდება სგე-4, კლასიფიცირდება როგორც IV კლასის - ცუდი კლდოვანი მასივი.

სკმ-5 – თიხაფიქლები, დადაბლებული სიმტკიცის, რღვევის შესუსტებული ზონიდან – (ქვედა და შუა იურული, სორის ქვედა და ზედა წყება - J_{1-2S}). აღნიშნული ელემენტი გამოვლინდა 3 ჭაბურღილში სხვადასხვა სიღრმეებზე. სგე-5-ის გავრცელების ფარგლები მოცემულია საკვლევი უბნის საინჟინრო-გეოლოგიურ ჭრილებზე (იხ. ნახ. GC-1838-2 და GC-1838-3). აღნიშნული სგე-დან აღებული ნიმუშებისთვის განისაზღვა მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები. სიმტკიცის მაჩვენებლები განისაზღვრა წერტილოვანი დატვირთვის მეთოდით (იხ. დანართი 3.2.2).

მიღებული შედეგები დამუშავდა სტატისტიკურად, სახსტანდარტ 20522-75-ის მოთხოვნათა შესაბამისად და ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია ქვემოთ, ცხრილ 4.9-ში.

ცხრილი-4.9 *სგე-5-ის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა სიდიდეების სტატისტიკური დამუშავების შედეგები*

№ რიგზე	ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები	განზომილება	საშ. კვად. გადახრა $\sigma_{\text{ჩ-1}}$	ვარიაციის კოეფიციენტი, V	მქსცის კოეფიციენტი	ასიმეტრიის კოეფიციენტი	ნორმატიული მნიშვნელობა, ρ	საანგარიშო მნიშვნელობა სანდოობის ალბათობისათვის:		
								$\alpha=0.85$	$\alpha=0.95$	$\alpha=0.99$
1	სიმკვრივე, ρ	გრ/სმ ³	0.045	0.019	-1.273	-0.138	2.387	2.365	2.350	2.325
2	სიმტკიცის ზღვარი, R_c	კგძ/სმ ²	6.363	0.145	-0.833	-0.661	43.897	40.883	38.675	35.168

სტატისტიკური დამუშავების შედეგების მიხედვით, სახსტ.25100-82 შესაბამისად, თიხაფიქლები კლასიფიცირდება, როგორც „დადაბლებული სიმტკიცის“ ქანი, რადგან სიმტკიცის მახასიათებლის ნორმატიული სიდიდე $R_c=4.38$ მპა. სგე-5-ის დარბილების კოეფიციენტი $K_{\text{დარბ.}}=0.67$ რის მიხედვითაც აღნიშნული ელემენტი დარბილებადია. სიმკვრივის ნორმატიული მნიშვნელობა $\rho=2.39$ გრ/სმ³.

მასივის ხარისხის (RMR) მნიშვნელობებიდან, აგრეთვე ნორმატიული და საცნობარო ლიტერატურის მიხედვით, სგე-5-ის მექანიკური თვისებების მახასიათებელთა სიდიდეებად მიღებული უნდა იქნას:

- შინაგანი ხახუნის კუთხე $\phi=14^\circ$;

- შეჭიდულობა $C=0.065$ მპა;
- დრეკადობის მოდული $E=3000$ მპა;
- პუასონის კოეფიციენტი $\nu=0.35$.

ჭაბურღილების კერნის შეფასების მიხედვით განისაზღვრა სგე-4-ის ჯამური რეიტინგი (RMR) და ხარისხი, რის მიხედვითაც $RMR=20$ და კლდოვანი მასივი სადაც ფიქსირდება სგე-5 კლასიფიცირდება, როგორც V კლასის - ძალიან ცუდი კლდოვანი მასივი.

სგე-5-ის ანიზოტროპულობის დადგენის მიზნით, ჩატარდა პარალელური გამოცდები სიმტკიცეზე შრეებრიობის პარალელურად და მის მართობულად, რის მიხედვითაც თიხაფიქლები ავლენენ ანიზოტროპულ თვისებებს. პარალელური გამოცდის შედეგები მოცემულია ცხრილ-4.10-ში.

ცხრილი-4.10 სგე-5-ის ანიზოტროპულობის გამოკვლევის შედეგები

ჭაბურღილის №	ნიმუშის სიღრმე, მ	სიმტკიცე ერთდერძა კუმშვაზე, R_c , კგ/სმ ²	სიმკვრივე, ρ გ/სმ ³	გამოცდის მიმართულება
წყალგაჯერებულ მდგომარეობაში				
ჭაბ. 3ა	34.5-34.7	24.99	2.45	შრეების გასწვრივ
		54.37		შრეების მართობულად
ჭაბ. 3ა	35.0-35.5	19.41	2.42	შრეების გასწვრივ
		47.86		შრეების მართობულად

სბმ-6 – თიხაფიქლები, სუსტად გამოფიტული, საშუალო სიმტკიცის, თხელ და ფურცლოვანშრეებრივი – (ქვედა და შუა იურული, სორის ქვედა და ზედა წყება - J_1-2s). აღნიშნული ელემენტი ოთხივე ჭაბურღილში გვხვდება გამოფიტვის ზონის ქვევით. სგე-6-ის გავრცელების ფარგლები მოცემულია საკვლევი უბნის საინჟინრო-გეოლოგიურ ჭრილებზე (იხ. ნახ. GC-1838-2 და GC-1838-3). აღნიშნული სგე-დან აღებული ნიმუშებისთვის განისაზღვრა მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები. სიმტკიცის მაჩვენებლები განისაზღვრა წერტილოვანი დატვირთვის და გრუნტების ერთდერძა კუმშვაზე გამოცდის მეთოდით. სგე-6-ის კლდოვანი ქანების ძვრაზე ლაბორატორიული გამოცდა ბუნებრივი ნაპრაღის ზედაპირის გასწვრივ ჩატარდა როგორც მშრალი ზედაპირისთვის, აგრეთვე დასველებული ზედაპირისთვის (იხ. დანართი-3.2.3).

მიღებული შედეგები დამუშავდა სტატისტიკურად, სახსტანდარტ 20522-75-ის მოთხოვნათა შესაბამისად და ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია ქვემოთ, ცხრილ 4.11-ში.

ცხრილი-4.11 სგე-რ-ის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა სიდიდეების სტატისტიკური დამუშავების შედეგები

№ რიგზე	ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები	განზომილება	საშ. კვად. გადახრა $\sigma_{\text{ჩ-1}}$	ვარიაციის კოეფიციენტი, V	მქცვის კოეფიციენტი	ასიმეტრიის კოეფიციენტი	ნორმატიული მნიშვნელობა, ρ	საანგარიშო მნიშვნელობა სანდოობის ალბათობისათვის:		
								$\alpha=0.85$	$\alpha=0.95$	$\alpha=0.99$
1	სიმკვრივე, ρ	გრ/სმ ³	0.097	0.037	-0.252	0.405	2.602	2.588	2.579	2.569
2	სიმტკიცის ზღვარი R_c	კგძ/სმ ²	127.222	0.511	-0.513	-0.203	249.18	229.905	218.327	204.720
3	შეჭიდულობა, C მშრალი ზედაპირისთვის	მპა	0.106	0.594	-1.859	-0.302	0.178	0.133	0.100	0.053
4	შინაგანი ხახუნის კუთხე, φ მშრალი ზედაპირისთვის	გრად.	6.448	0.283	-0.360	0.907	22.8	20.0	18.0	15.1
5	შეჭიდულობა, C დასველებული ზედაპირისთვის	მპა	0.060	0.760	-0.055	-0.977	0.079	0.054	0.035	0.008
6	შინაგანი ხახუნის კუთხე, φ დასველებული ზედაპირისთვის	გრად.	2.058	0.104	-0.525	0.503	19.7	18.8	18.2	17.3

სტატისტიკური დამუშავების შედეგების მიხედვით, სახსტ.25100-82 შესაბამისად, თიხაფიქლები კლასიფიცირდება, როგორც „საშუალო სიმტკიცის“ ქანი, რადგან სიმტკიცის მახასიათებლის ნორმატიული სიდიდე $R_c=24.92$ მპა ($50 \geq R_c \geq 15$ მპა). სგე-რ-ის დარბილების კოეფიციენტი $K_{\text{დარბ.}}=0.80$ რის მიხედვითაც აღნიშნული ელემენტი არადარბილებადია (იხ. დანართი-3.2.5). სიმკვრივის ნორმატიული მნიშვნელობა $\rho=2.60$ გრ/სმ³.

- შინაგანი ხახუნის კუთხე (მშრალი ზედაპირისთვის) $\varphi=22.8^\circ$;
- შეჭიდულობა (მშრალი ზედაპირისთვის) $C=0.178$ მპა;
- შინაგანი ხახუნის კუთხე (დასველებული ზედაპირისთვის) $\varphi=19.7^\circ$;
- შეჭიდულობა (დასველებული ზედაპირისთვის) $C=0.079$ მპა.

მასივის ხარისხის (RMR) მნიშვნელობებიდან, აგრეთვე ნორმატიული და საცნობარო ლიტერატურის მიხედვით, სგე-ნ-ის მექანიკური თვისებების მახასიათებელთა სიდიდეებად მიღებული უნდა იქნას:

- დრეკადობის მოდული $E=12000\text{მპა}$;
- პუასონის კოეფიციენტი $\nu=0.27$.

ჭაბურღილების კერნის შეფასების მიხედვით განისაზღვრა სგე-ნ-ის ჯამური რეიტინგი (RMR) და ხარისხი, რის მიხედვითაც $RMR=35$ და კლდოვანი მასივი სადაც ფიქსირდება სგე-ნ კლასიფიცირდება, როგორც IV კლასის - ცუდი კლდოვანი მასივი.

სგე-ნ-ის ანიზოტროპულობის დადგენის მიზნით, ჩატარდა პარალელური გამოცდები სიმტკიცეზე შრეებრიობის პარალელურად და მის მართობულად, რის მიხედვითაც თიხაფიქლები ავლენენ ანიზოტროპულ თვისებებს. პარალელური გამოცდის შედეგები მოცემულია ცხრილ-4.12-ში.

ცხრილი-4.12 სგე-ნ-ის ანიზოტროპულობის გამოკვლევის შედეგები

ადგილმდებარეობა /ჭაბურღილის №	ნიმუშის სიღრმე, მ	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, R_c კგ/სმ ²	სიმკვრივე, ρ გ/სმ ³	ქანის დასახელება
წყალგაჯერებულ მდგომარეობაში				
ჭაბ. 2	41.4-41.6	48.44	2.61	შრეების გასწვრივ
	41.4-41.6	876.48		შრეების მართობულად
ჭაბ. 2	52.0-52.15	13.13	2.71	შრეების გასწვრივ
		181.09		შრეების მართობულად
ჭაბ. 2	63.0-63.2	5.05	2.67	შრეების გასწვრივ
		111.40		შრეების მართობულად
ჭაბ. 3	4.2-4.4	31.70	2.64	შრეების გასწვრივ
		874.02		შრეების მართობულად
ჭაბ. 3	18.8-19.0	51.07	2.55	შრეების გასწვრივ
		491.54		შრეების მართობულად

ადგილმდებარეობა /ჭაბურღილის №	ნიმუშის სიღრმე, მ	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, Rc კგ/სმ ²	სიმკვრივე, ρ გ/სმ ³	ქანის დასახელება
ჭაბ. 3ა	7.0-7.2	24.24	2.72	შრეების გასწვრივ
		43.83		შრეების მართობულად
ჭაბ. 3ა	10.5-10.65	12.44	2.76	შრეების გასწვრივ
		19.83		შრეების მართობულად
ჭაბ. 3ა	15.6-15.8	30.70	2.67	შრეების გასწვრივ
		38.98		შრეების მართობულად
ჭაბ. 3ა	20.0-20.2	24.88	2.75	შრეების გასწვრივ
		142.23		შრეების მართობულად
ჭაბ. 3ა	24.8-25.0	60.34	2.70	შრეების გასწვრივ
		163.63		შრეების მართობულად
ჭაბ. 3ა	28.5-28.7	21.29	2.71	შრეების გასწვრივ
		250.32		შრეების მართობულად
ჭაბ. 3ა	46.5-46.7	91.44	2.62	შრეების გასწვრივ
		437.29		შრეების მართობულად
ჭაბ. 3ა	52.0-52.2	2.51	2.70	შრეების გასწვრივ
		285.62		შრეების მართობულად
ჭაბ. 3ა	56.0-56.2	7.54	2.65	შრეების გასწვრივ
		220.18		შრეების მართობულად
ჭაბ. 3ა	61.0-61.2	38.72	2.68	შრეების გასწვრივ
		307.09		შრეების მართობულად
ჭაბ. 3ა	66.2-66.4	30.12	2.57	შრეების გასწვრივ
		339.43		შრეების მართობულად
ჭაბ. 3ა	71.0-71.2	104.08	2.68	შრეების გასწვრივ
		292.69		შრეების მართობულად

ადგილმდებარეობა /ჭაბურღილის №	ნიმუშის სიღრმე, მ	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, Rc კგ/სმ ²	სიმკვრივე, ρ გ/სმ ³	ქანის დასახელება
ჭაბ. 3ა	79.8-80.0	20.49	2.65	შრეების გასწვრივ
		300.18		შრეების მართობულად
ჭაბ. 3ა	85.0-85.2	42.57	2.64	შრეების გასწვრივ
		368.06		შრეების მართობულად
ჭაბ. 3ა	90.8-91.0	30.02	2.66	შრეების გასწვრივ
		311.77		შრეების მართობულად
ჭაბ. 4	27.0-27.2	13.12	2.66	შრეების გასწვრივ
		141.45		შრეების მართობულად
ჭაბ. 4	30.5-30.65	11.73	2.77	შრეების გასწვრივ
		56.63		შრეების მართობულად
ჭაბ. 4	32.2-32.4	75.42	2.76	შრეების გასწვრივ
		366.16		შრეების მართობულად
ჭაბ. 4	34.2-34.35	22.06	2.35	შრეების გასწვრივ
		49.81		შრეების მართობულად
ჭაბ. 4	37.0-37.2	10.67	2.42	შრეების გასწვრივ
		117.69		შრეების მართობულად

4.2 ბრუნტის წყლების ქიმიური შედგენილობა და აბრეხიულობა

წყლების აგრესიულობის დასადგენად შესრულებულია წყლის სინჯების ქიმიური ანალიზი და განსაზღვრულია მათი აგრესიულობის ხარისხი სამშენებლო კონსტრუქციების ბეტონისა და არმატურისადმი. ქიმიური ანალიზი გაუკეთდა საკვლევ უბანზე არსებული წყაროებიდან აღებულ წყლის სინჯებს, კორიზონტალურ ჭაბურღილში გამოვლენილ წყალს და ზედაპირული წყლების სინჯებს. ქიმიური ანალიზის შედეგების მიხედვით, გარემოში არ არის გამოვლენილი არავითარი აგრესიულობა წყალშედწევადობის მიხედვით არცერთი მარკის ბეტონისადმი, იგი ხასიათდება სუსტი აგრესიულობით რკინაბეტონის არმატურისადმი, მისი პერიოდულად დასველების შემთხვევაში, ხოლო არ არის

აგრესიული მუდმივად წყალში ჩაძირვის პირობებში. ქიმიური ანალიზის შედეგები იხ. დანართ 3.3-ში.

4.3 საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები

გამოკვლეული უბნის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობების დახასიათება მოცემულია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში გაანალიზებულია საპროექტო ტერიტორიაზე და მათ შორის გვირაბის პორტალებამდე მისასვლელი გზის ახალი მონაკვეთების განლაგების უბნებზე მიმდინარე გეოლოგიური პროცესები და მოვლენები, ანუ ეს ნაწილი ეძღვნება მიწისზედა სამშენებლო სამუშაოების, მათ შორის სახიდე გადასასვლელის ვარიანტის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობების შეფასებას. მეორე ნაწილში აღწერილია და ზოგადად დახასიათებულია საპროექტო გვირაბის გაყვანის დროს მოსალოდნელი გეოლოგიური პროცესები და მოვლენები.

4.3.1 მიწისზედა მშენებლობის საინჟინრო-გეოდინამიკური ვითარება

ზოგადად, მთიან რეგიონებში, საავტომობილო გზების მშენებლობისა და ექსპლუატაციის გამართულებელ უმთავრეს გეოდინამიკურ მოვლენებს წარმოადგენს ძირითადი მდინარეული არტერიებისა და მათი შენაკადების აქტიური ეროზიული მოქმედება. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ მდინარეებს, როგორც ენგურის და მისი შენაკადებია. მდ. ენგურის ხარჯი დიდია და კალაპოტის საკმაოდ მაღალი გრძივი ქანობის პირობებში მას ძლიერი ეროზიული ზემოქმედების ძალა გააჩნია. იმ მონაკვეთებში, სადაც მდინარის კალაპოტი მტკიცე კლდოვან ქანებშია ჩატრილი, ეროზია შენელებული და ხეობის ფერდობები მდგრადია, ხოლო იმ მონაკვეთებში, სადაც იგი გადის მეოთხეულ, ფერდობებიდან დენუდირებული შეუკავშირებელი გრუნტებით გარემოცულ კალაპოტში, იგი ავითარებს როგორც სიღრმულ, ასევე გვერდით ეროზიას. გვერდითი ან სიღრმული ეროზიის ინტენსივობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის კალაპოტის ამა-თუ იმ მონაკვეთის დახრილობაზე, მასში წყლის დინების სიჩქარეზე, კალაპოტში და მის ნაპირებზე არსებული ნამსხვრევი მასალის მარცვლოვანებაზე, მარცვალთა ფორმაზე (დამრგვალებული, კუთხოვანი), მათ სიმტკიცეზე და სხვა.

მდ. ენგურს საპროექტო მონაკვეთის ფარგლებში არ გააჩნია ჭალა, ხეობის ფსკერის სიგანე აქ კალაპოტის სიგანით იფარგლება. კალაპოტის მიმდებარე ფერდობები ციცაბოა, რაც სავარაუდოდ იმაზე მიანიშნებს, რომ უპირატესად სიღრმულ ეროზიას აქვს ადგილი, ხოლო გვერდითი ეროზია კომპენსირდება ფერდობებიდან ღვარულ-მეწვრული მოვლენებით ჩამონატანი გრუნტის გატანის ხარჯზე. საპროექტო საავტომობილო გვირაბის განლაგების მონაკვეთში მიმდინარე გეოდინამიკური მოვლენების თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ აქ პარალელურად მიმდინარეობს ეროზიული და მეწვრული მოვლენები და ისინი ერ-

თიმეორის მასტიმულირებელ როლს ასრულებენ ფერდობის დენუდაციის უწყვეტ პროცესში. მდ. ენგურის ხეობის მარჯვენა ფერდობის ამ მონაკვეთის ამგები თიხაფიქლების თხელი და ფურცლოვანი შრეებრიობა, მასივის ზედაპირული ნაწილის გამოფიტულობა და მისი ტექტონიკური დანაწევრებულობა სიღრმეში, საფუძველს ქმნის ფერდობის ზედაპირზე თიხნაროვანი და ფხვიერი ხვინჭალორდოვანი გრუნტების ცვალებადი სისქის ფენის წარმოქმნისათვის. ფენის თიხნაროვან კომპონენტში შერეული, თიხაფიქლების ბაზაზე წარმოქმნილი ხვინჭა და ღორღი ასევე ბრტყელი ფორმისაა, ხახუნისადმი დაბალი წინააღმდეგობით. აღნიშნულის გამო კლდოვანი მასივის ზედაპირზე წარმოქმნილი ფხვიერი შეუკავშირებელი ფენის ძვრისადმი წინააღმდეგობაც დაბალია მისი დასველების შემდეგ, რაც იწვევს გრუნტის ცალკეული მასების ჩაცურებას ფერდობებზე დენად-პლასტიკურ მდგომარეობაში. ჩაცურებული მასა აღწევს შესაბამისი მცირე ეროზიული ხევის (ხრამის) ფსკერს, სადაც ეს უკანასკნელი ახდენს მასზე ჩამდინარე წყლის დროებით შეგუბებას, ხოლო შეგუბებული წყლისა და გრუნტის შერული მასა წარმოქმნის ქვატალახიან დვარცოფულ ნაკადს, რომელიც მდ. ენგურის კალაპოტისაკენ მიემართება. თავის მხრივ, მცირე ხეებისა და ხრამების ეროზიული მოქმედება, აღრმავებს-რა მათ ფსკერს და ზრდის ფერდობების ქანობს, ქმნის პირობებს მათი შემდგომი დამეწყვრისათვის. ამდენად, როგორ უკვე ითქვა, ეროზიული და მეწყრული მოვლენები ერთიმეორის მასტიმულირებელი და საერთო ჯამში მდ. ენგურის ხეობის მარჯვენა ფერდობის ამ მონაკვეთის აქტიური დენუდაციის გამომწვევია. ცალკეული მეწყრული მოვლენები ერთ საერთო მეწყრულ მოვლენაში ერთიანდება და ერთი მთლიანი მეწყრის სახით წარმოგვიდგება ფერდობის მთელ სიმაღლეზე, გზის ქვემოთ მდ. ენგურამდე და გზის ზევით 440 მ-მდე მანძილზე, 200-250 მ. სიგანის ზოლის სახით. იგი თავის მხრივ წარმოადგენს მხოლოდ შუა და ზედაპირულ ნაწილს იმ სტრუქტურული (სეისმო-ტექტონოგენური) მეწყრისა, რომელიც მდ. ენგურის ხეობის მარჯვენა ფერდობის ამ მონაკვეთზე განვითარებული კლდოვან მასივში და რომელიც ამჟამად, სავარაუდოდ, სტაბილიზირებულ მდგომარეობაშია. (სტრუქტურული მეწყრის მდებარეობისა მასივში და მისი მდგომარეობის ზოგადი ახსნა მოცემულია ზემოთ, პუნქტ 3-3-ში - „გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა“).

მეწყრული სხეულის გზისზედა ნაწილის გარკვეული უბანი დატბორილია, რაც მის შიგნით გრუნტების მასების მეწყრულ გადაადგილებას და ამით გამოწვეულ ფერდობის დეფორაციას უკავშირდება. წყლის შეტბორვა მეწყრული სხეულის გარკვეულ ნაწილში, მისი გააქტიურების წინაპირობას წარმოადგენს.

სხვა გეოდინამიკურ მოვლენათა შორის უბანზე უნდა აღინიშნოს აგრეთვე ქვაცვენები არსებული გზის ზედა ხელოვნური ფერდობებიდან ისეთ მონაკვეთებში, სადაც მათი ქანობი ციცაბოა და ადგილი აქვს ქანების ცალკეული ნატეხების ან გარკვეული მოცულობის ბლოკების ვადრნას გზის მიმართულებით.

ზემოთ აღწერილი გრაფიტაციული პროცესების განვითარების შედაგედ წარმოქმნილი მეწყრები, ქვაცვენები და ეროზიული მოვლენები, განსაკუთრებით

ყურადსაღებია გვირაბის პორტალებამდე მისასვლელი გზის ახალი მონაკვეთების დაპროექტებისა და მშენებლობისას. პროექტის განვითარების შემდგომ, მშენებლობის განხორციელების ეტაპზე, გასათვალისწინებელია სათანადო მოცულობის დამატებითი დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩატარებისა და გეოლოგიური მოულოდნელობებისაგან დამზღვევი სათანადო საპროექტო-სამშენებლო ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა.

წინამდებარე ტექსტის ამ ნაწილში უნდა ითქვას აგრეთვე გვირაბის ნაცვლად სახიდე გადასასვლელის მოწყობის გეოდინამიკური პირობების შესახებაც. სახიდე გადასასვლელის მოწყობა ივარაუდება მდ. ენგურის მარჯვენა ფერდობის ორ გვერდითა ქედს შორის, რომლებზეც, ამავე დროს, უნდა განლაგდეს გვირაბის პორტალები. ქედებს შორის განლაგებული ღარტაფის ფსკერი მეწყერულ სხეულს უკავია, რომლის სისქე ცნობილი არ არის. ხიდის დასავლეთი ბურჯის განლაგების ადგილზე გამოვლენილია ტექტონიკური რღვევით გამოყოფილი ბლოკი, რომლის ქვევით, ციცაბო ფერდობზე, მიმდინარეობს აქტიური ეროზიულ-დენუდაციური პროცესები, რაც სავარაუდოდ აღნიშნული ბლოკის ქვედა ნაწილის თანდათანობით ჩანგრევასთან უნდა იყოს დაკავშირებული. უცნობია ტექტონიკური ბლოკის მოწყვეტის სიღრმეც. თუ გავითვალისწინებთ ზოგადად უბნის ტექტონიკურ ბლოკურ აგებულებასაც, ცხადი ხდება, რომ გვირაბის ნაცვლად აქ ხიდის მოწყობა დაკავშირებული იქნება მრავალმხრივ სირთულეებთან.

4.3.2 გვირაბის გაყვანის დროს მოსალოდნელი მოვლენები

საპროექტო გვირაბის მშენებლობის ხელისშემშლელად შეიძლება მოგვევლინოს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა:

- ქანების მასივის ფიზიკური მდგომარეობა და მოსალოდნელი გეოლოგიური მოვლენები;
- სამთო წნევები და დაძაბული მდგომარეობა;
- მხუთავი ან ფეთქებადი აირების გამოვლენა.

ქანების მასივის მდგომარეობა, რაც გეოტექნიკურ კვლევებში იწოდება, როგორც **მასივის კლასი და ხარისხი (RMR)** გვირაბის განთავსების ზოლში განისაზღვრა ჭაბურღილებიდან ამოღებული სრული კერნის შესწავლისა და ნაჩენების დეტალური გეომექანიკური აღწერების საფუძველზე. მასივის კლასისა და ხარისხის განსაზღვრა ემყარება საველე და ლაბორატორიული კვლევის შედეგებს, რისთვისაც შეფასებულია:

- ქანების სიმტკიცე;
- კერნის ხარისხის მაჩვენებელი (RQD);
- ნაპრაღთა სიხშირე;

- ნაპრაღიანობის მახასიათებლები;
- გრუნტის წყლები;
- ქანების შრეებრიობის ორიენტაცია გვირაბის მიმართ.

კლდოვანი მასივის ხარისხის შეფასება მოცემულია დანართ-4-ში. მასივის კლასისა და ხარისხის (RMR) შეფასება ჭაბურღილებიდან აღებული კერნისა და ნაჩენების დეტალურ გეომექანიკური კვლევის შედეგების მიხედვით, მოცემულია გვირაბის გრძივ საინჟინრო-გეოლოგიურ ჭრილზე (იხ. გრაფიკული ნაწილი, ნახაზი №GC-1838-2), ხოლო ქვემოთ, ცხრილური სახით, მოცემულია კლდოვანი მასივის კლასი და ხარისხი გვირაბის სხვადასხვა მონაკვეთში პიკეტაჟის მიხედვით, მათი სიგრძეებისა და საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების მითითებით.

ცხრილი-11 ქანების შენიშის კლასი და ხარისხი, მონაკვეთების მიხედვით

პიკეტი +მ	მანძილი, მ	ჯამური რეიტინგი (RMR)	მასივის კლასი	მასივის ხარისხი	სბმ №
3+64 ÷ 3+90	26	26	IV	ცუდი	4
3+90 ÷ 6+54	264	35	IV	ცუდი	6
